სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა №4

ქ. თბილისი **2017 წლის 23 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. აბესაძე ნინო 4. ბაქრბაქაძე ხათუნა 5. გაგელიძე ტარიელი 6. შვანგირაძე მათე 7. გოგინავა უშანგი 8. თუთბერიძე ბეჟანი 9. მაჭავარიანი ლია 10. გეგჭკორი არნოლდი 11. თევზაძე ალექსანდრე 12. სამსონია შოთა 13. ბასილაია ანანო 14. კვირიკაშვილი ბაჩანა (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) 15. თუმანიშვილი გიორგი 16. გარიშვილი მარინა 17. კვირიკაშვილი ბახვა 18. ონიანი თამარი 19. ოქიტაშვილი გიორგი 20. ქიტუაშვილი თინა 21.ჩხაიძე ზურაბი 22. წერეთელი მარი 23. შამილიშვილი მანანა 24. შევარდნაძე თორნიკე 25. ჟვანია ირინე 26. ჩახუნაშვილი ნინო 27. დადეშქელიანი ბექა 28. თოფურია სალომე 29. ლორია კახაბერი 30. გორდეზიანი ლევანი 31. გელოვანი ნანი 32. თაბუაშვილი აპოლონი 33. ბრაჭული ირაკლი 34. ოთხმეზური გიორგი 35. პაიჭაძე თამარი 36. შარაბიძე თამარი 37. კეჟერაშვილი შოთა 38. მურღულია ირაკლი (უფლებამოასილების ცნობის შემდეგ) 39. გაიპარაშვილი ზურაბი 40. ღარიბაშვილი ირაკლი 41. სუმბაძე ციური 42. ქადეიშვილი თორნიკე 43. მაჭავარიანი ნანა 44. იოსელიანი ხათუნა 45. ახალბედაშვილი ლალი 46. ალანია ვიქტორი 47. ხეცურიანი ნათელა 48. ხუციშვილი მარინე 49. ნემსაძე ადა 50. რუხაია მიხეილი 51. ჩხაიძე თამარი

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. შარვაშიძე გიორგი 2. ავაზაშვილი ნიკოლოზი 3. ამირანაშვილი ავთანდილი 4. ბერძენიშვილი ამირანი 5. ზაუტაშვილი მარინე 6. კერესელიძე დავითი 7. კვინიკაძე მურმანი 8. კუხიანიძე ალექსანდრე 9. ლობჟანიძე გია 10. მაისაშვილი ხათუნა 11. მერკვილაძე დავითი 12. მესტვირიშვილი მაია 13. მექვაბიშვილი ელგუჯა 14. მინდორაშვილი მარინე 15. ნადირაძე ქეთევანი 16. ფერაძე გოჩა 17. ფურთუხია ომარი 18. ქურდაძე ირინე 19. ღვედაშვილი გიორგი 20. ღლონტი მედეა 21. ყულიჯანაშვილი აკაკი 22. შავლაყაძე ნუგზარი 23. ცაგარელი ზურაბი 24. ხარშილაძე ირმა 25. ხუსკივაძე მამუკა 26. ოკრიბელაშვილი ნინო.

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთათვის უფლებამოსილების შეწყვეტა და ცნობა (მომხსენებელი: კახაბერ ლორია)

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: ირაკლი საღარეიშვილი)
3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულების ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი მახარობლიშვილი)
4. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 ივლისის №86/2017 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: მიხეილ ნიორაძე)
5. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 ივლისის №87/2017 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: გია ჯაიანი)
6. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №113/2017 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ირინე დარჩია)
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების იჯარით გაცემის საკითხი (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომაზე, წარმოდგენილია ის საკითხები, რომელიც ქვორუმის არარსებობისა და აქედან გამომდინარე, სხდომის გადადების გამო, ვერ იქნა განხილული 2017 წლის 20 ოქტომბერის სხდომაზე. სენატის სპიკერმა მადლობა გადაუხადა აკადემიური და

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მობრძანებისათვის და მოუბოდიშა მათ კიდევ ერთხელ შეწუხებისათვის. ამასთან, წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანის, დიმიტრი გეგენავას სამსახურეობრივ მივლინებაში ყოფნის გამო, სხდომის მდივნად წარმოადგინა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის თამარ პაიჭაძის კანდიდატურა, რაც ერთხმად იქნა მხარდაჭერილი.

1 .წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სტატუსის შესახებ. აღინიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ლია გოდერძიშვილსა და სანდრო ხუციშვილს შეუწყდათ სტუდენტის სტატუსი, შესაბამისად საჭიროა ჩატარდეს არჩევნები, იმის გათვალისწინებით, რომ მათ არა ჰყავთ ადგილმონაცვლეები. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ბექა ბექაურს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი და ამ შემთხვევაშიც საჭიროა ახალი არჩევნების ჩატარება, ხოლო ამავე ფაკულტეტზე ნინო ჩეკურაშვილის ადგილმონაცვლეა ბაჩანა კვირიკაშვილი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გიორგი ჯავახაძეს ანაცვლებს ირაკლი მურღულია.

1.1. თავდაპირველად კენჭი ეყარა **ლია გოდერძიშვილის, სანდრო ხუციშვილის, ბექა ბექაურის, ნინო ჩეკურაშვილისა და გიორგი ჯავახაძისათვის** წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 49
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ლია გოდერძიშვილს, სანდრო ხუციშვილს, ბექა ბექაურს, ნინო ჩეკურაშვილსა და გიორგი ჯავახაძეს შეუწყდეთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი.

1.2 ცალკე ეყარა კენჭი ბაჩანა კვირიკაშვილისა და ირაკლი მურღულიასათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის ცნობას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 49
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ცნობილ იქნეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების, **ბაჩანა კვირიკაშვილისა** (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი) და **ირაკლი მურღულიას** (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) უფლებამოსილებები.

2.სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა, საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები. როგორც მომხსენებელმა განმარტა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების დაზუსტების გამო აუცილებელი გახდა უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებების შეტანა.

შემოსავლით ნაწილში ცვლილება ძირითადად განაპირობა, უნივერსიტეტთან შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთკისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებაში შეტანილმა კორექტირებამ. კერძოდ, თსუ 2017 წლის ნაერთ ბიუჯეტში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიუჯეტები გაწერილი და დამტკიცებული იყო (15 596 544 ლარი) მათ მიერ წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე, რომლებმაც რამდენიმეჯერ განიცადა დაზუსტება, კერძოდ, ,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის პირველი თებერვლის №134 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 აპრილის №376; 2017 წლის 19 მაისის №470, 2017 წლის 23 აგვისტოს №743 და 2017 წლის 25 სექტემბერის №837 ბრძანებებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, განიცადა ცვლილებები და განისაზღვრა 11 502 867 ლარით, რაც უნივერსიტეტის ნაერთ ბიუჯეტში გაიწერა საბიუჯეტო სახსრების ეკონომიკური კალასიფიკაციის მუხლების გათვალისწინებით, ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად.

გარდა აღნიშნულისა, 2016 წლის ბოლოსა და მიმდინარე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტების კონკურსებში გამარჯვებულთა გამოვლენა. შედეგად, დაზუსტდა ზემოაღნიშნული გრანტებიდან მისაღები შემოსავლები, რამაც შესაბამისად შეადგინა 5 461 572 ლარი და 3 317 207 ლარი. თანხა უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებში გაიწერა

მიზნობრივად, საგრანტო პროექტებში დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების გათვალისწინებით.

რაც შეეხება ,,სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში, სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართულ სხვა შემოსავლებს" (ეკონომიკური საქმიანობიდან), უნივერსიტეტის ნაერთ ბიუჯეტში ცვლილება უმნიშვნელოა და შეადგენს 447679 ლარს. თანხები გაწერილია საბიუჯეტო სახსრების ეკონომიკური კლასიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად, რაც ძირითადად ხმარდება უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსების სარემონტო სამუშაოებს, ინფრასტრუქტურის სრულყოფას, გადასახადების გადახდას და ა.შ.

ამდენად, 2017 წლის უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში გარდამავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვრა 83 667 727 ლარით, ხოლო გადასახდელები (მთლიანი ასიგნებანი) -83 609 310 ლარით.

მომხსენებელმა საბჭოს წევრებს მიმართა წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების მხარდაჭერის თხოვნით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 51
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ცვლილება თანდართული სახით.

3.იურიდული ფაკულტეტის წარმომადგენელმა გიორგი მახარობლიშვილმა, საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულებაში ცვლილება და განმარტა, რომ იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით (06.07.2017 წ. №5 ოქმი) დამტკიცდა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ბაზაზე დაფუძნებული საერთაშორისო სისხლისა და სისიხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის სასწავლო და კვლევითი ცენტრის დებულება და იურიდიული ფაკულტეტის დებულების მე-20 მუხლის პირველ პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის ზ) ქვეპუნქტი: ,,საერთაშორისო სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის სასწავლო და კვლევითი ცენტრი".

ასევე, საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ შეიქნას კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით „საარჩევნო სისტემების და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, დამტკიცდეს მისი დებულება და იურიდიული ფაკულტეტის დებულების მე-20 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის თ) ქვეპუნქტი: „საარჩევნო სისტემების და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტი.“

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის, ზურაბ გაიპარაშვილის შეკითხვაზე, ხომ არ აისახება აღნიშნული ცვლილებები ბიუჯეტზე, მომხსენებელმა უპასუხა, რომ ცვლილებები ბიუჯეტზე გავლენას არ იქონიებს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 51
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულების ცვლილება წარმოდგენილი სახით.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 ივლისის №86/2017 დადგენილება. აკადემიური საბჭოს მიერ შეტანილი იქნა ცვლილება, ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1. წინამდებარე დებულების ამოქმედების დროისათვის ინსტიტუტის არჩევითი თანამდებობის მქონე პირები - დირექტორი, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები და მეცნიერ თანამშრომლები ჩაითვალონ კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურში მიღებულად შესაბამისი კონკურსის ჩატარებამდე. 2. ინსტიტუტის არჩევითი თანამდებობის მქონე პირების საარჩევნო პროცედურები (კონკურსი, არჩევა/შერჩევა) დასრულდეს 2018 წლის 1 ივნისამდე“.

ინსტიტუტის დირექტორმა, ბატონმა მიხეილ ნიორაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მიმართა აღნიშნული დოკუმენტის მხარდაჭერის თხოვნით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 51
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 ივლისის №86/2017 დადგენილება.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 ივლისის №87/2017 დადგენილება. აკადემიური საბჭოს მიერ შეტანილი იქნა ცვლილება ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1. წინამდებარე დებულების ამოქმედების დროისათვის ინსტიტუტის არჩევითი თანამდებობის მქონე პირები - დირექტორი, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, მთავარი მეცნიერ-თანამშრომბლები, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები და მეცნიერ თანამშრომლები ჩაითვალონ კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურში მიღებულად შესაბამისი კონკურსის ჩატარებამდე. 2. ინსტიტუტის არჩევითი თანამდებობის მქონე პირების საარჩევნო პროცედურები (კონკურსი, არჩევა/შერჩევა) დასრულდეს 2018 წლის 1 ივნისამდე“.

ინსტიტუტის დირექტორმა, ბატონმა გია ჯაიანმა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მიმართა აღნიშნული დოკუმენტის მხარდაჭერის თხოვნით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 51
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 ივლისის №87/2017 დადგენილება.

6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ქალბატონი ირინე დარჩიას მიერ საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №113/2017 დადგენილება. მომხსენებელმა თავის პრეზენტაციაში ვრცლად და დეტალურად ისაუბრა დებულების ცვლილების შესახებ და იმ მიზეზებზე და საფუძვლებზე, რაც დაედო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შემუშავებას საფუძვლად. კერძოდ, აღნიშნა, რომ 1) თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოქმედი დებულება დამტკიცებულ იქნა 2012 წლის 10 დეკემბერს აკადემიური საბჭოს N 118 დადგენილებით და მას შემდეგ მასში შევიდა ცვლილებები 2013 წლის 21 ოქტომბერს, უნივერსიტეტის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით. როგორც ახალ დებულებაზე მუშაობის დროს გამოვლინდა, თავად დებულების ტექსტში იყო შემორჩენილი პუნქტები, რომლებიც შეესაბამებოდა უნივერსიტეტის, როგორც ააიპ-ის და არა როგორც სსიპ-ის სტატუსს. მაგალითად, მოქმედი დებულების მუხლი 3, პუნქტი 2. „სამსახურის უფროსს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი“.

2) მომსხენებლის განმარტებით, 2016 წელს განხორციელდა ცვლილებები საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ და ავტორიზაციის სამი სტანდარტი შეიცვალა შვიდი სტანდარტით: ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება; ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა; გ) საგანმანათლებლო პროგრამები; დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი; ე) სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები; ვ) კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა; ზ)

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები. 2017 წლის 5 მაისს შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა ავტორიზაციის დებულებაში და ორგვერდიანი დოკუმენტი შეიცვალა 41 გვერდიანი დოკუმენტით.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები არ ასახულა სამსახურის დებულებაში, თუმცა მომხსენებლის განმარტებით, ისინი უშუალოდ უკავშირდება სამსახურის ფუნქციებს.

ქალბატონი ირინე დარჩიას მიერ, ასევე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს ავტორიზაციის ვადა ეწურება 2018 წლის აგვისტოში და რომ მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტი ვალდებულია 2018 წლის თებერვალში თვითშეფასების ანგარიში წარადგინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უკვე შეცვლილი, გართულებული სტანდარტის შესაბამისად, რაც განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს უნივერსიტეტის მთელი ადმინისტრაციის, მაგრამ განსაკუთრებით ხარისხის სამსახურის მიმართ, რომელმაც კოორდინაცია უნდა გაუწიოს ავტორიზაციისთვის მზადების პროცესს.

3) მომხსენებელმა, ასევე აღნიშნა, რომ დღეისათვის უნივერსიტეტში მოქმედ 238 პროგრამას დასჭირდება ეტაპობრივი განახლება-მოდერნიზაცია, ავტორიზაციის სტანდარტიდან გამომდინარე და, რომ ეს პროცესი ვეღარ იქნება დამოკიდებული მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელზე, მასში აქტიურად იქნებიან ჩართულები არა მხოლოდ აკადემიური, არამედ სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

4) აღინიშნა, რომ 2017 წელს საქართველოს კანონში შესული ცვლილების თანახმად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე 2018 წლიდან იქნება უცხოელი. მომხსენებლის აზრით, ავტორიზაციის პროცესის ინტერნაციონალიზაცია თავისთავად ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ხარისხის სამსახურს: დოკუმენტაციის მომზადება და ექსპერტებთან კომუნიკაცია საჭირო იქნება არა მხოლოდ ქართულად, არამედ უცხოურ ენაზეც. ასევე აღნიშნა, რომ უცხოელი ექსპერტები უკვე არიან ჩართული უცხოენოვანი პროგრამების აკრედიტაციის პროცესში და მათ უკვე შეაფასეს თსუ-ს სამი სადოქტორო პროგრამა: ურბანისტიკა, მათემატიკა, საერთაშორისო და შედარებითი განათლება.

5) ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს კანონმდებლობა, უნივერსიტეტის წესდება და სამსახურის დებულება ავალდებულებს ხარისხის სამსახურს სისტემატურად მოახდინოს სტუდენტთა გამოკითხვა და მათი ანალიზი, თუმცა მომხსენებლის აზრით, დღეისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჯეროვნად ვერ ასრულებს ამ ფუნქციას.

6) როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ირინე დარჩიამ აღნიშნა, 2015 წლიდან უნივერსიტეტი მონაწილეობს მსოფლიოს საუნივერსიტეტო რანჟირებების პროცესში, რასაც თავდაპირველად კოორდინირებას უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. 2016 წლიდან სამსახურმა თავი ვეღარ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას და უნივერსიტეტი იძულებული გახდა, თანამშრომელი გარედან მოეწვია, რაზეც დამატებითი თანხები იხარჯება. მისი აზრით, სასურველია, რომ სწორედ ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახური კურირებდეს მსოფლიოს საუნივერსიტეტო რანჟირებებში მონაწილეობას, რათა აღნიშნული პროცესის პარალელურად თავისი საქმიანობა წარმართოს შესაბამისი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების, ანუ ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით.

7) ქალბატონი ირინე დარჩიას მიერ ასევე ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტის მიერ 2017 წლის დასაწყისში სააკრედიტაციოდ გაგზავნილ ოთხ პროგრამას შეექმნა უაღრესად სერიოზული პრობლემები აკრედიტაციის კუთხით. კერძოდ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამას „ადგილობრივი თვითმმართველობა და განვითარების კვლევები“ არ მიენიჭა აკრედიტაცია. უნივერსიტეტმა გააპროტესტა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, თუმცა უნივერსიტეტის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა არც სააპელაციო საბჭომ. უცხოელი ექსპერტების წინასწარი დასკვნის შედეგად, აკრედიტაციის მოქმედი 5 სტანდარტიდან ვერც ერთს ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო და შედარებითი განათლების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა. მოქმედი 5 სტანდარტიდან ერთს აკმაყოფილებს, სამს ნაწილობრივ, ხოლო ერთს - არ აკმაყოფილებს ურბანისტიკის ასევე ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა. მათემატიკის ინგლისურენოვანი პროგრამა აკმაყოფილებს ოთხს და ნაწილობრივ აკმაყოფილებს ერთ სტანდარტს. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოვლენილი ხარვეზების აბსოლუტური უმრავლესობა არის არა აკადემიური, არამედ ადმინისტრაციული პერსონალის არაეფექტური საქმიანობის შედეგი.

ზემოთ აღნიშნული შვიდი არგუმენტიდან გამომდინარე, მომხსენებლის აზრით, აუცილებელია ისე შეიცვალოს სამსახურის დებულება და სტრუქტურა, რომ მოხდეს სამსახურის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევების ეფექტური მართვა. ეს გამოწვევებია: ავტორიზაციის და აკრედიტაციის ახალი სტანდარტები, უნივერსიტეტის ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა და საერთაშორისო რეიტინგებში თსუ-ს პოზიციის გაუმჯობესება, და ბოლოს, სტუდენტთა და თანამშრომელთა გამოკითხვები.

გამომსვლელის აზრით, როდესაც იცვლება ამა თუ იმ სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო ჩარჩო და როდესაც ესა თუ ის სტრუქტურა ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ჩნდება მის საქმიანობაში გარკვეული ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, რაც, ჩვეულებრივ, ხორციელდება სამი მიმართულებით: 1) ცვლილებები სტრუქტურის ფუნქციებში; 2) ცვლილებები თავად სტრუქტურაში; 3) ცვლილებები თანამშრომლების მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში.

ზემოთმითითებულიდან გამომდინარე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ როგორც სამსახურის ხელმძღვანელი და აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი პირი, წარმოადგენს სტრუქტურას, რომელიც ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს და ხარისხის სამსახურის წინაშე არსებულ 4 ძირითად გამოწვევას. აქვე გამომსვლელმა მიუთითა, რომ სამსახურის ახალი სტრუქტურა უნდა დაეფუძნოს უნივერსიტეტის ბიუჯეტს და მის ფინანსურ შესაძლებლობებს, რომელიც არ არის სახარბიელო.

შესაბამისად, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის მხრიდან შემოთავაზებული იქნა შემდეგი სტრუქტურა: შეიქმნას ორი განყოფილება - 1) ავტორიზაციის და ინსტიტუციური განვითარების, 2) აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების. ამ სახით, როგორც გამომსვლემა აღნიშნა, ხარისხის სამსახური უფრო ეფექტურად გაუმკლავდება ამოცანებს. ფუნქციების კონცენტრირება მოხდება ორი ძირითადი მიმართულებით, რაც საშუალებას მისცემს სამსახურს, პარალელურ რეჟიმში უფრო მეტ ამოცანას გავართვას თავი. ხარისხის სამსახურის უფროსს ეყოლება ორი დასაყრდენი, რომლებიც ოპერაციულ დონეზე უფრო ეფექტურად გაუძღვებიან პროცესებს.

დღეისათვის არსებული სტრუქტურით კი, მომსხენებლის განმარტებით, ხარისხის სამსახურის უფროსს ჰყავს მოადგილე და, რომ თავის დროზე დებულებაში შესაბამისი ცვლილება განხორციელდა იმ მოტივით, რომ გაჩენილიყო მოადგილის შტატი, რომელიც კურირებას გაუწევდა პროფესიულ განათლებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის ხელმძღვანელის აზრით, დღეს საკანონმდებლო ცვლილებებიდან და უნივერსიტეტის სტრატეგიიდან გამომდინარე პრიორიტეტულია არა პროფესიული განათლება ცალკე აღებული, არამედ მოდერნიზებული პროცედურა ავტორიზაცია-აკრედიტაციის, რაც თავის თავში მოიცავს როგორც პროფესიულ განათლებას, ისე ბაკალავრიატს, მაგისტრატურას და დოქტორანტურას. ისმის კითხვა: რატომ არის საჭირო მოადგილე პროფესიული განათლების მიმართულებით და არა, მაგალითად, დოქტორანტურის, ავტორიზაციის ან აკრედიტაციის მიმართულებით?

მომსხენებლის აზრით, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო სამსახურის მოადგილის შტატის შენარჩუნება (მისი ფუნქციების არსებითი ცვლილებით), თუმცა უნივერსიტეტის ბიუჯეტი ასეთი ფუფუნების საშუალებას არ იძლევა. მისივე განმარტებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ახალი სტრუქტურის თავდაპირველ ვერსიაში მოაზრებული ჰქონდა სამი განყოფილება (ცალკე უნდა ყოფილიყო კვლევებისა და შეფასების განყოფილება), თუმცა კანცლერთან კონსულტაციების შედეგად თავდაპირველი ხედვა შეცვალა უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ქალბატონმა ირინე დარჩიამ აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების ახალი რედაქციის დამტკიცება ცვლის საშტატო განრიგს (უფროსის მოადგილის შტატის ნაცვლად ჩნდება განყოფილების უფროსის ორი შტატი), თუმცა არ იწვევს ცვლილებებს უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

ასევე საგანგებოდ აღნიშნა, რომ განყოფილების ხელმძღვანელების მიმართ წაყენებული უნდა იყოს საკმაოდ მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რადგან - როგორც გამოცდილებამ აჩვენა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის არაეფექტური საქმიანობის ერთ-ერთი მიზეზი არის ახალი გამოწვევების შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ნაკლებობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ირინე დარჩიამ, წარმომადგენლობითი საბჭოს

წევრებს მიმართა აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტის მხარდაჭერის თხოვნით, ასევე გამოთქვა მზადყოფნა კითხებზე საპასუხოდ.

წარმომადგელობითი საბჭოს წევრებმა: თამარ შარაბიძემ, არნოლდ გეგეჭკორმა, ნათელა ხეცურიანმა კითხვები დასვეს წარმოდგენილ პრეზენტაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, პროგრამულ აკრედიტაციასთან, ჩართულობასთან მიმართებით. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბეჟან თუთბერიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი 2018 წელს დიდი გამოწვევის წინაშეა და რომ ამ გამოწვევას კარგად პასუხობს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმოდგენილი დებულება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 51
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №113/2017 დადგენილება

7.სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა არჩილ კუკულავამ უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს წინაშე განსახილველად წარმოადგინა უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილ კორპუსებში არსებული 36 კვადრატული მეტრი ფართის, ვენდინგის (ელ. ვაჭრობის, მათ შორის ყავისა და სხვა ცხელი უალკოჰოლო სასმელების თითოეულ 2 კვ. მეტრის მქონე წერტილზე თითო აპარატის (როგორც ე.წ ვაჭრობის ისე ყავისა და სხვა ცხელი უალკოჰოლო სასმელების აპარატის)) აპარატების განთავსების მიზნით, 5 წლის ვადით იჯარის ფორმით გაცემის საკითხი:

ა) ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1, უნივერსიტეტის პირველი კორპუსში 6 (ექვსი) $მ^2$ ფართი -ნულოვან სართულზე (ოთხი კვადრატული მეტრი, ცალ-ცალკე ორ-ორი კვ.მეტრი) და მეორე სართულზე (ორი კვადრატული მეტრი); ბ) ქ.თბილისი, ილია ჯავჭავაძის გამზირი N 3 ,უნივერსიტეტის მეორე კორპუსში 6 (ექვსი)$მ^2$ ფართი - ორ-ორი კვადრატული მეტრი ნულოვან, პირველ და მეორე სართულზე; გ) ქ.თბილისი, ილია ჯავჭავაძის გამზირი N36, უნივერსიტეტის მე-5 კორპუსში 4 (ოთხი)$მ^2$ ფართი - ორ-ორი კვადრატული მეტრი, მეორე და მესამე სართულზე; დ) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N2 ,უნივერსიტეტის მე-10

(მაღლივი) კორპუსში 10მ² ფართი-ორ-ორი კვადრატული მეტრი პირველ, მე-5 ,მე-7, მე-9, მე-11 სართულზე; ე) ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N13, უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) კორპუსში 10მ² ფართი-ორ-ორი კვადრატული მეტრი კორპუსის მინაშენში, პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სართულზე - სულ ჯამში 36 კვადრატული მეტრი.

საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ბახვა კვირიკაშვილმა და აღნიშნა, რომ ფასები უნდა იყოს ხელმისაწვდომი და რეალური, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილი პროდუქციის ფასი აშკარად მაღალია. საბჭოს წევრმა, გიორგი ოთხმეზურმა გამოთქვა სურვილი, რომ მსგავსი აპარატები განთავსდეს უნივერსიტეტის სხვა კორპუსებიშიც, რაზედაც იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა განმარტა, რომ საკითხი დამუშავების პროცესშია, ფასებთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ კომისიის მიერ, კონკურსის გამოცხადებისას შესაძლებელია დადგინდეს ფასის მაქსიმალური ზღვარი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 51
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1, უნივერსიტეტის პირველი კორპუსში 6 (ექვსი) მ² ფართი -ნულოვან სართულზე (ოთხი კვადრატული მეტრი, ცალ-ცალკე ორ-ორი კვ.მეტრი) და მეორე სართულზე (ორი კვადრატული მეტრი); ბ) ქ.თბილისი, ილია ჯავჭავაძის გამზირი N 3,უნივერსიტეტის მეორე კორპუსში 6 (ექვსი)მ² ფართი - ორ-ორი კვადრატული მეტრი ნულოვან, პირველ და მეორე სართულზე; გ) ქ.თბილისი, ილია ჯავჭავაძის გამზირი N36, უნივერსიტეტის მე-5 კორპუსში 4 (ოთხი)მ² ფართი - ორ-ორი კვადრატული მეტრი, მეორე და მესამე სართულზე; დ) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N2, უნივერსიტეტის მე-10 (მაღლივი) კორპუსში 10მ² ფართი-ორ-ორი კვადრატული მეტრი პირველ, მე-5 ,მე-7, მე-9, მე-11 სართულზე; ე) ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N13, უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) კორპუსში 10მ² ფართი-ორ-ორი კვადრატული მეტრი კორპუსის მინაშენში, პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სართულზე - სულ ჯამში 36 კვადრატული მეტრი, ვენდინგის (ელ. ვაჭრობის, მათ შორის ყავისა და სხვა ცხელი უალკოჰოლო სასმელების თითოეულ 2 კვ. მეტრის მქონე წერტილზე თითო აპარატის (როგორც ე.წ ვაჭრობის ისე ყავისა და სხვა ცხელი უალკოჰოლო სასმელების აპარატის)) აპარატების განთავსების მიზნით, 5 წლის ვადით იჯარის ფორმით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ბახვა კვირიკაშვილმა გააკეთა განცახდება, ინგლისურენოვანი სტუდენტური ბარათების მომზადებისა და თსუ მეორე კორპუსში სტუდენტური კუთხეების მოწყობის საჭიროებაზე.

განცხადების მოსმენის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი **კახაბერ ლორია**

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მდივანი **თამარ პაიჭაძე**

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები
2017 წლის 23 ოქტომბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

შაბურიშვილი შოთა

თოდუა ნუგზარი

აბესაძე ნინო

ბარბაქაძე ხათუნა

სტუდენტები:

სოსიაშვილი თათია

ბერუაშვილი ანზორი

გაგელიძე ტარიელი

შვანგირაძე მათე

შუბითიძე ვლადიმერი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგინავა უშანგი

თუთბერიძე ბეჟანი

მაჭავარიანი ლია

გეგჭკორი არნოლდი

ხაჩიძე მანანა

თევზაძე ალექსანდრე

სამსონია შოთა

სტუდენტები

ბახტურიძე პაატა

ბასილაია ანანო

კვირიკაშვილი ბაჩანა (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ)

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

თუმანიშვილი გიორგი

ცისკაძე მარიამი

თოდუა ნონა

გარიშვილი მარინა

სტუდენტები:

კვირიკაშვილი ბახვა

ონიანი თამარი

ოქიტაშვილი გიორგი

ართქმელაძე თორნიკე

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი

ქიტუაშვილი თინა

ხოდელი ნოდარი

ჩხაიძე ზურაბი

სტუდენტები:

თამარ ჩხაიძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

წერეთელი მარი

შამილიშვილი მანანა

ტუკვაძე ავთანდილი

სტუდენტები:

ლორთქიფანიძე ლევანი

საბაური შალვა

შევარდნაძე თორნიკე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ჟვანია ირინე

ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები

დადეშქელიანი ბექა

თოფურია სალომე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ლორია კახაბერი

გორდეზიანი ლევანი

გელოვანი ნანი

თაბუაშვილი აპალონი

ბრაჭული ირაკლი

ოთხმეზური გიორგი

პაიჭაძე თამარი

შარაბიძე თამარი

სტუდენტები

ჯეგაშვილი ნანა

მინდიაშვილი თეონა

სამხარაძე ლაშა

კეჟერაშვილი შოთა

მურღულია ირაკლი (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ)

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

ღარიბაშვილი ირაკლი

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური

ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი

ბაშელეიშვილი ლევანი

ანდრია რაზმაძის მათემათიკის ინსტიტუტი

ქადეიშვილი თორნიკე

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მაჭავარიანი ნანა

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

წაქაძე სევერიანი

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტუტუტი

ხომერიკი გიორგი

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

რუსიაშვილი გიორგი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

იოსელიანი ხათუნა

კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი

მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი

ალანია ვიქტორი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

ხეცურიანი ნათელა

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

მიხეილ რუხაია

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

თამარ ჯობავა

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2017 წლის 23 ოქტომბერი

- შარვაშიძე გიორგი
- ავაზაშვილი ნიკოლოზ
- ამირანაშვილი ავთანდილ
- ანანიაშვილი ნათელა
- ბერძენიშვილი ამირან
- გამყრელიძე ერეკლე
- გონაშვილი ვასილ
- გოცირიძე დავით
- ზაუტაშვილი მარინე
- იმნაძე პაატა
- კერესელიძე დავით
- კვინიკაძე მურმან

- კუხიანიძე ალექსანდრე
- ლობჟანიძე გია
- ლომიძე გაგა
- მაისაშვილი ხათუნა
- მერკვილაძე დავით
- მესტვირიშვილი მაია
- მექვაბიშვილი ელგუჯა
- მინდორაშვილი მარინე
- ნადირაძე ქეთევან
- ოკრიბელაშვილი ნინო
- სანაძე რუსუდან
- სილაგაძე ავთანდილ
- ფერაძე გოჩა
- ფურთუხია ომარ
- ქიტიაშვილი ანასტასია

- ქურდაძე ირინე
- ღვედაშვილი გიორგი
- ღლონტი მედეა
- ყარალაშვილი თამაზ
- ყულიჯანიშვილი აკაკი
- შავლაყაძე ნუგზარ
- შანიძე რევაზი
- ცაგარელი ზურაბ
- ცინცაძე ნოდარ
- ხარშილაძე ირმა
- ხუსკივაძე მამუკა

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №4, დანართი №3

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი

დასახელება	პროექტი
● ნაშთი	**11756 178**
მათ შორის: ნაშთი (სწავლის ქირის, სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	6918 076
მათ შორის: ნაშთი (ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის)	58 417
მათ შორის : ნაშთი (ადმინისტრაციული მართვის ოპტიმიზაციი პროგრამის)	180 000
მათ შორის: ნაშთი (ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების)	4167 655
მათ შორის: ნაშთი (საერთაშორისო გრანტების)	432 030
● შემოსავლები	71911 549
მათ შორის: ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	50032 914
მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა)	11502 867
მათ შორის : სახელმწიფო ბიუჯეტიდან–საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.	358 058
მათ შორის: საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან	244 131
მათ შორის :სახელმწიფო ბიუჯეტიდან -სახელმწიფო სტიპენდია და ზვიად გამსახურდიას და სულხან -საბა ორბელიანის სახელობის სტიპენდია	994 800
მათ შორის:ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან	5461 572
მათ შორის:საერთაშორისო გრანტებიდან	3317 207
სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით	**83667 727**
გადასახდელები (წაერთი)	
სულ ასიგნება	**83609 310**
I ხარჯები	**79315 341**
● შრომის ანაზღაურება	**37487 320**
● საქონელი და მომსახურება	**30248 914**
● სუბსიდიები	**2234 247**
● გრანტები	**224 923**
●სოციალური უზრუნველყოფა	**155 000**
● სხვა ხარჯები	**8964 937**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**4263 969**
● ვალდებულებების კლება	**30 000**
მათ შორის: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში,სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	**56935 753**
I ხარჯები	**55698 850**
● შრომის ანაზღაურება	**29444 620**
● საქონელი და მომსახურება	**22481 690**
●გრანტები	**170 000**
●სოციალური უზრუნველყოფა	**155 000**

● სხვა ხარჯები	3447 540
II არაფინანსური აქტივების ზრდა	1206 903
● ვალდებულებების კლება	30 000
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის'' ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	11502 867
I ხარჯები	10193 076
● შრომის ანაზღაურება	8042 700
● საქონელი და მომსახურება	2119 076
● სხვა ხარჯები	31 300
II არაფინანსური აქტივების ზრდა	1309 791
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს''ფარგლებში და ,,ზვიად გამსახურდიას სახელობის'' პრეზიდენტის ფონდის ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	994 800
I ხარჯები	994 800
● სხვა ხარჯები	994 800
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი დაფინანსება-,, ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და ადმინისტრაციული მართვის ოპტიმიზაციის''ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (II)	538 058
I ხარჯები	180 000
● სუბსიდიები	180 000
II არაფინანსური აქტივების ზრდა	358 058
მათ შორის: პრეზიდენტის ფონდის ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	244 131
I ხარჯები	242 101
● სუბსიდიები	242 101
II არაფინანსური აქტივების ზრდა	2 030
მათ შორის: ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	9629 227
I ხარჯები	8585 859
● საქონელი და მომსახურება	5648 148
● გრანტები	1 000
● სხვა ხარჯები	2936 711
II არაფინანსური აქტივების ზრდა	1043 368
მათ შორის: საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (I+II)	3764 474
I ხარჯები	3420 655
● სუბსიდიები	1812 146
● გრანტები	53 923
● სხვა ხარჯები	1554 586
II არაფინანსური აქტივების ზრდა	343 819

<u>ამონაწერი</u>

იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის
ოქმი №5
06 ივლისი, 2017 წ.

დღის წესრიგი

2. <u>საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ბაზაზე დაფუძნებული საერთაშორისო სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის სასწავლო და კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცება და იურიდიული ფაკულტეტის დებულების მე-20 მუხლის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის საკითხი.</u>

პროფ. ი. ბურდულმა საბჭოს გააცნო აკადემიკოს ლევან ალექსიძის 2017 წლის 06 ივლისის წარდგინება (დანართი №2) საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ბაზაზე დაფუძნებული საერთაშორისო სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის სასწავლო და კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცებისა და იურიდიული ფაკულტეტის დებულების მე-20 მუხლის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის საკითხი, კერძოდ, მე-20 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს ზ) ქვეპუნქტი.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, დამტკიცდეს საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ბაზაზე დაფუძნებული საერთაშორისო სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის სასწავლო და კვლევითი ცენტრის დებულება და იურიდიული ფაკულტეტის დებულების მე-20 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ზ) ქვეპუნქტი: „საერთაშორისო სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის სასწავლო და კვლევითი ცენტრი“.

7. <u>კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით „საარჩევნო სისტემების და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის“ შექმნის, მისი დებულების დამტკიცებისა და იურიდიული ფაკულტეტის დებულების მე-20 მუხლის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის საკითხი.</u>

პროფ. ი. ბურდულმა საბჭოს წარუდგინა პროფესორ ნანა ჭიღლაძის განცხადება კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით „საარჩევნო სისტემებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის“ შექმნის, მისი დებულების დამტკიცებისა და იურიდიული ფაკულტეტის დებულების მე-20 მუხლის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის საკითხი, კერძოდ, თ) ქვეპუნქტის დამატების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, შეიქმნას კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით „საარჩევნო სისტემების და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი," დამტკიცდეს მისი დებულება და იურიდიული ფაკულტეტის დებულების მე-20 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარის თ) ქვეპუნქტი: „საარჩევნო სისტემების და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი."

თავმჯდომარე, პროფესორი /ი. ბურდული/
მდივანი /გ. მახარობლიშვილი/

ამონაწერი სწორია /გ. მახარობლიშვილი/

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 86/2017 25 ივლისი 2017 წ.

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტისა და იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 21 ივლისის №11912/10 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წინამდებარე დებულების ამოქმედების დროისთვის ინსტიტუტის არჩევითი თანამდებობის მქონე პირები - დირექტორი, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები, უფროსი მეცნიერ-

თანამშრომლები და მეცნიერ-თანამშრომლები ჩაითვალონ კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურში მიღებულად შესაბამისი კონკურსების ჩატარებამდე.
2. ინსტიტუტის არჩევითი თანამდებობის მქონე პირების საარჩევნო პროცედურები (კონკურსი, არჩევა/შერჩევა) დასრულდეს 2018 წლის 1 ივნისამდე.".

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 87/2017 25. ივლისი 2017 წ.

"სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტისა და იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 21 ივლისის №11912/10 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წინამდებარე დებულების ამოქმედების დროისთვის ინსტიტუტის არჩევითი თანამდებობის მქონე პირები - დირექტორი, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები, უფროსი მეცნიერ-

თანამშრომლები და მეცნიერ-თანამშრომლები ჩაითვალონ კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურში მიღებულად შესაბამისი კონკურსების ჩატარებამდე.
2. ინსტიტუტის არჩევითი თანამდებობის მქონე პირების საარჩევნო პროცედურები (კონკურსი, არჩევა/შერჩევა) დასრულდეს 2018 წლის 22 ივნისამდე.".

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №4, დანართი№7

დადგენილება №113/2017
16 ოქტომბერი, 2017

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 61-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №20 სხდომის ოქმისა და თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2017 წლის 13 ოქტომბრის №18192/10 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 დეკემბრის №118/2012 დადგენილება.
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების ძალაში შესვლასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს არა უგვიანეს 2017 წლის 15 დეკემბრისა.
4. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
5. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ს კანცელარიას.

6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
7. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებისა.
8. დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტები ძალაში შედის 2017 წლის 15 დეკემბერს.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი“) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში – ,,სამსახური“) არის უნივერსიტეტის მართვის ორგანო.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. სამსახურის დებულებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის საქმიანობის სფერო და ძირითადი ამოცანებია:
ა) უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;
ბ) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასება;

გ) რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით;

დ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება;

ე) სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;

ვ) საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა.

2. სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე პროცედურების საშუალებით, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით შემუშავებული წესის/წესების შესაბამისად;

ბ) სწავლების ხარისხის ამაღლება სწავლის, სწავლებისა და შეფასების, აგრეთვე კვლევის თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვ.) დანერგვის ხელშეწყობით და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებით;

გ) სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შემუშავება აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან თანამშრომლობით და მისი დასამტკიცებლად წარდგენა აკადემიური საბჭოსთვის;

დ) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესის შემუშავება სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან თანამშრომლობით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე (შეფასების პროცესში უცხოელ შემფასებელთა შესაძლო მონაწილეობა, სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის სხვადასხვა ფორმის გამოყენება და სხვ.);

ე) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ვ) კავშირების დამყარება და თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;

ზ) უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის მაჩვენებელთა შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნისა და განახლების უზრუნველყოფა;

თ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისათვის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ნორმატიული მოთხოვნების, ასევე, მასში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება;

ი) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებიდან ამ სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება, შემდგომი დამუშავება და მონაცემთა ბაზაში ასახვა;

კ) უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის, სტუდენტების მხარდაჭერის სერვისების, პერსონალის მართვის, კვლევების, განვითარებისა და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან, პასუხისმგებელ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით;

ლ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტებთან უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან, პასუხისმგებელ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით;

მ) აკადემიური პერსონალის ტექნიკური მხარდაჭერა საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში;

ნ) პროფესიული, საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება, მათი ტექნიკური მონიტორინგის და აკადემიური ექსპერტიზის უზრუნველყოფა ქართველ და უცხოელ ექსპერტთა მონაწილეობით;

ო) პროფესიული, საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესის შემუშავება და შეფასების პროცესის განხორციელება დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით;

პ) პროფესიული, საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან მიმართებაში;

ჟ) რეკომენდაციების წარდგენა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისთვის (კოორდინატორებისთვის), აგრეთვე ფაკულტეტების და აკადემიური საბჭოებისთვის პროფესიული, საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის მიზნით;

რ) სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვის კითხვარების შემუშავება, გამოკითხვის ორგანიზება, გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება გამოვლენილი პრობლემების მოგვარების მიზნით;

ს) ადმინისტრაციული/დამხმარე/აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზნით გამოკითხვის ორგანიზება, გამოკითხვის შედეგების დამუშავება, შედეგების გაცნობა შესაბამისი სტრუქტურებისათვის, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის მათი საქმიანობის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით;

ტ) სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული წერილობითი მომართვების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ფაკულტეტების ადმინისტრაციის მიმართ;

უ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის შევსების წესის შემუშავებასა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართის შედგენისა და მომზადების პროცესში მონაწილეობა;

ფ) კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ავტორიზაციასთან და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე;

ქ) მსოფლიოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო რანჟირების სისტემაში უნივერსიტეტის მონაწილეობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან და პასუხისმგებელ პირებთან თანამშრომლობით;

ღ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციური საქმიანობის განმსაზღვრელი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის შემუშავება;

ყ) აკადემიური საბჭოს დადგენილებების და რექტორის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში;

შ) მონაწილეობა სასწავლო პროცესთან, სამეცნიერო კვლევებთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებული უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების პროცესში;

ჩ) უნივერსიტეტის წესდებით, რექტორის სამართლებრივი აქტებით, აკადემიური საბჭოს დადგენილებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში.

2. სამსახური თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების საქმიანობის კოორდინირებით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური არის უნივერსიტეტის მართვის ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი. სამსახურის სტრუქტურაში შედის ორი განყოფილება.

2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მტკიცდება 4 წლის ვადით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისთვის წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

3. სამსახურის უფროსი არის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი.

4. განყოფილებების უფროსებსა და თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამსახურის უფროსის წარდგინებით.

5. სამსახურის უფროსის დროებით არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა) მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი განყოფილების უფროსი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე.

6. სამსახური შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:

ა) ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება;

ბ) აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება.

7. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით სამსახურისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: სამსახურის უფროსი, სამსახურის განყოფილების უფროსი, სამსახურის მთავარი სპეციალისტი, სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

მუხლი 4. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას უნივერსიტეტის წესდებისა და სამსახურის დებულების შესაბამისად;

ბ) გამოსცემს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციური საქმიანობის განმსაზღვრელ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

გ) წარმოადგენს სამსახურს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

დ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

ე) ხელმძღვანელობს სამსახურის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას;

ვ) სამსახურის შიდა სტრუქტურის, შტატების, სამსახურის თანამშრომელთა წახალისების ან დისციპლინური (ან სხვა სახის) გადაცდომისას პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ წარუდგენს წინადადებებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

ზ) უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების მონაწილე სტუდენტების შერჩევის პროცესში;
თ) წარმოადგენს სამსახურს უნივერსიტეტის სხვა მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ხოლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით წარმოადგენს უნივერსიტეტს მესამე პირებთან ურთიერთობისას;
ი) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;
კ) ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
2. განყოფილების უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, სამსახურის უფროსის მითითებების შესაბამისად, განსაზღვრავს და აძლევს დავალებებს;
გ) აკონტროლებს განყოფილების თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს;
დ) ხელს აწერს განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტებს;
ე) ამზადებს განყოფილების საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს სამსახურის უფროსს;
ვ) ორგანიზებას უწევს განყოფილებისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც სამსახურის უფროსს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
ზ) პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე;
თ) სამსახურის უფროსის წარდგინებით ასრულებს მის მოვალეობას.

მუხლი 5. ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება

ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილების ფუნქციებია:

ა) მონაწილეობა უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასების პროცესში განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
ბ) სწავლების ხარისხის ამაღლების პროცესში მონაწილეობა ავტორიზაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებით;
გ) მონაწილეობა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შემუშავების პროცესში განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;

დ) მონაწილეობა უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესის შემუშავების პროცესში განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;

ე) თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;

ვ) მონაწილეობა უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის მაჩვენებელთა შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნისა და განახლების პროცესში განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისათვის ავტორიზაციის შესახებ ნორმატიული მოთხოვნების, ასევე, მასში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება;

თ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებიდან ავტორიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება შემდგომი დამუშავებისა და მონაცემთა ბაზაში მათი ასახვის მიზნით;

ი) მონაწილეობა სასწავლო პროცესთან, სამეცნიერო კვლევებთან, ავტორიზაციასთან დაკავშირებული უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების პროცესში;

კ) უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის, სტუდენტების მხარდაჭერის სერვისების, პერსონალის მართვის, კვლევების, განვითარებისა და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შესაბამისობის დადგენის პროცესში მონაწილეობა ავტორიზაციის სტანდარტებთან უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან, პასუხისმგებელ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით;

ლ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის პროცესში მონაწილეობა ავტორიზაციის სტანდარტებთან უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან, პასუხისმგებელ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით;

მ) აკადემიური პერსონალის ტექნიკური მხარდაჭერა საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში;

ნ) კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ავტორიზაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე;

ო) აკადემიური საბჭოს დადგენილებების და რექტორის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;

პ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციური საქმიანობის განმსაზღვრელი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის შემუშავების პროცესში მონაწილეობა განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
ჟ) მსოფლიოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო რანჟირების სისტემაში უნივერსიტეტის მონაწილეობის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობა უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან და პასუხისმგებელ პირებთან თანამშრომლობით;
რ) უნივერსიტეტის წესდებით, რექტორის სამართლებრივი აქტებით, აკადემიური საბჭოს დადგენილებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 6. აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება

აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების ფუნქციებია:
ა) მონაწილეობა უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასების პროცესში განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
ბ) სწავლების ხარისხის ამაღლების პროცესში მონაწილეობა სწავლის, სწავლებისა და შეფასების, აგრეთვე კვლევის თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვ.) დანერგვის ხელშეწყობით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებით;
გ) მონაწილეობა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შემუშავების პროცესში განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
დ) თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
ე) მონაწილეობა უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის მაჩვენებელთა შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნისა და განახლების პროცესში განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
ვ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისათვის აკრედიტაციის შესახებ ნორმატიული მოთხოვნების, ასევე, მასში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება;
ზ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებიდან აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება შემდგომი დამუშავებისა და მონაცემთა ბაზაში მათი ასახვის მიზნით;
თ) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესში მონაწილეობა;

ი) აკადემიური პერსონალის ტექნიკური მხარდაჭერა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში;

კ) პროფესიული, საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება;

ლ) პროფესიული, საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატური ტექნიკური მონიტორინგის ორგანიზება შემუშავებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საფუძველზე;

მ) პროფესიული, საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული აკადემიური (მათ შორის საერთაშორისო) ექსპერტიზის ორგანიზება ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით;

ნ) პროფესიული, საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესის შემუშავება და მათი შეფასება დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით;

ო) პროფესიული, საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან მიმართებაში;

პ) რეკომენდაციების წარდგენა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისთვის (კოორდინატორებისთვის) პროფესიული, საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის მიზნით;

ჟ) საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის გარე შეფასების განმახორციელებელი უფლებამოსილი დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის რეკომენდაციების შედეგად, უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და აკადემიური საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენა საგანამანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე;

რ) სტუდენტების გამოკითხვის კითხვარების შემუშავება;

ს) სტუდენტების სისტემატური გამოკითხვა, გამოკითხვის შედეგების დამუშავება და გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება;

ტ) სტუდენტთა შეფასებების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის ფაკულტეტების, აკადემიური საბჭოს წინაშე სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით;

უ) ადმინისტრაციული/დამხმარე/აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების კითხვარის შემუშავება;
ფ) ადმინისტრაციული/დამხმარე/აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზნით გამოკითხვის ორგანიზება, გამოკითხვის შედეგების დამუშავება, შედეგების გაცნობა შესაბამისი სტრუქტურებისათვის, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის მათი საქმიანობის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით;
ქ) სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული წერილობითი მომართვების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ფაკულტეტების ადმინისტრაციის მიმართ;
ღ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის შევსების წესის შემუშავებასა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართის შედგენისა და მომზადების პროცესში მონაწილეობა;
ყ) კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე;
შ) აკადემიური საბჭოს დადგენილებების და რექტორის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
ჩ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციური საქმიანობის განმსაზღვრელი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის შემუშავების პროცესში მონაწილეობა განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
ც) აკრედიტაციასთან დაკავშირებული უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების პროცესში მონაწილეობა;
ძ) უნივერსიტეტის წესდებით, რექტორის სამართლებრივი აქტებით, აკადემიური საბჭოს დადგენილებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 7. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

www.tsu.edu.ge

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

დებულების ახალი რედაქცია

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი
ირინე დარჩია

20. 10. 2017

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (1)

- თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოქმედი დებულება - 2012 წლის 10 დეკემბერი, აკადემიური საბჭოს N 118 დადგენილება;

- ცვლილებები თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოქმედ დებულებაში - 2013 წლის 21 ოქტომბერი, აკადემიური საბჭოს N 116 დადგენილება;

- სსიპ-ის სტატუსთან შეუსაბამო ჩანაწერი: „სამსახურის უფროსს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი“.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (2)

- ცვლილებები საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ- 2016 წ.;
- ავტორიზაციის სამი სტანდარტი: საგანმანათლებლო პროგრამები, ადამიანური რესურსები, მატერიალური რესურსები;
- ავტორიზაციის შვიდი სტანდარტი:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა;

გ) საგანმანათლებლო პროგრამები;

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი;

ე) სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები;

ვ) კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა;
ზ) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (2)

- ცვლილებები ავტორიზაციის დებულებაში;
- საკანონმდებლო ცვლილებების ასახვა სამსახურის დებულებაში;
- უნივერსიტეტს ავტორიზაციის ვადა: 2012-2018;
- თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადა: 2018 წლის თებერვალი;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და ხარისხის სამსახურის ძირითადი გამოწვევა: ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების დაკმაყოფილება.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (3)

- უნივერსიტეტში მოქმედი 238 პროგრამა;
- ეტაპობრივი განახლება-მოდერნიზაცია;
- ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- პროგრამების შედარება დასავლურ გამოცდილებასთან;
- პროგრამების შემუშავება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით - ეს პროცესი ველარ იქნება დამოკიდებული მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელზე, მასში აქტიურად იქნებიან ჩართულები **არა მხოლოდ აკადემიური, არამედ სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები.**

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (4)

- 2017 წელს საქართველოს კანონში შესული ცვლილება - ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე უცხოელი ექსპერტი;

- ავტორიზაციის პროცესის ინტერნაციონალიზაცია - ახალი გამოწვევა ხარისხის სამსახურისთვის: დოკუმენტაციის მომზადება და ექსპერტებთან კომუნიკაცია არა მხოლოდ ქართულად, არამედ უცხოურ ენაზეც;

- უცხოელი ექსპერტების ჩართულობა უცხოენოვანი პროგრამების აკრედიტაციის პროცესში - ურბანისტიკა, მათემატიკა, საერთაშორისო და შედარებითი განათლება.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (5)

- სტუდენტების გამოკითხვა - ვალდებულება, რომელიც ჯეროვნად არ სრულდება;
- საფუძვლები: კანონმდებლობა, უნივერსიტეტის წესდება და სამსახურის დებულება;
- საჭიროება: პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და ა.შ. გამოკითხვა.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (6)

- 2015 წლიდან უნივერსიტეტის მონაწილეობა მსოფლიოს საუნივერსიტეტო რანჟირებების პროცესში;

- პასუხისმგებელი სტრუქტურა/პირი:

2015 წ. - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

2016 წ. - მოწვეული პირი;

- რატომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური? - ხარისხის სამსახურის საქმიანობაში რანჟირებების სისტემების ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინება.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (7)

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში გამოვლენილი სერიოზული პრობლემები;
- სამაგისტრო პროგრამა „ადგილობრივი თვითმმართველობა და განვითარების კვლევები“ - არ მიენიჭა აკრედიტაცია;
- საერთაშორისო და შედარებითი განათლების სადოქტორო პროგრამა - აკრედიტაციის მოქმედი 5 სტანდარტიდან ვერც ერთს ვერ აკმაყოფილებს;
- ურბანისტიკა - ერთ სტანდარტს აკმაყოფილებს, სამს - ნაწილობრივ, ერთს - არ აკმაყოფილებს;
- მათემატიკა - ნაწილობრივ აკმაყოფილებს ერთ სტანდარტს.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

❖ **აუცილებლობა:**

სამსახურის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევების ეფექტური მართვა;

❖ **გამოწვევები:**

- ✓ ავტორიზაციის ახალი სტანდარტები,
- ✓ ავტორიზაციის ინტერნაციონალიზაცია,
- ✓ უნივერსიტეტის ხარისხობრივი მაჩვენებლები და საერთაშორისო რეიტინგებში თსუ-ს პოზიცია,
- ✓ სტუდენტთა და სხვა დაინტერესებული მხარების გამოკითხვები.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- *<u>როდესაც იცვლება ამა თუ იმ სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო ჩარჩო და როდესაც ესა თუ ის სტრუქტურა ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, აუცილებელია მის საქმიანობაში გარკვეული ცვლილებები.</u>*

- ცვლილებები, ჩვეულებრივ, ხორციელდება სამი მიმართულებით:

1) ცვლილებები სტრუქტურის ფუნქციებში;
2) ცვლილებები თავად სტრუქტურაში;
3) ცვლილებები თანამშრომლების მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- ❖ ცვლილებებზე პასუხისმგებელი პირი - სამსახურის ხელმძღვანელი;

- ❖ ცვლილებების საფუძვლები:

- ✓ უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტები;
- ✓ ხარისხის სამსახურის წინაშე არსებული 4 ძირითადი გამოწვევა;
- ✓ უნივერსიტეტის ბიუჯეტი და მისი ფინანსური შესაძლებლობები.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

❖ შემოთავაზება - 2 განყოფილება:

1) ავტორიზაციის და ინსტიტუციური განვითარების,
2) აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების.

✓ ხარისხის სამსახური უფრო ეფექტურად გაუმკლავდება ამოცანებს;
✓ ფუნქციების კონცენტრირება მოხდება ორი ძირითადი მიმართულებით, რაც საშუალებას მოგვცემს, პარალელურ რეჟიმში უფრო მეტ ამოცანას გავართვათ თავი;
✓ ხარისხის სამსახურის უფროსს ეყოლება ორი დასაყრდენი, რომლებიც ოპერაციულ დონეზე უფრო ეფექტურად გაუძღვებიან პროცესებს.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- დღევანდელი სტრუქტურა: ხარისხის სამსახურის უფროსი, მისი მოადგილე (შტატის დამატების საფუძველი: პროფესიული განათლების მიმართულებით სამსახურის უფროსის მხარდაჭერა);

- უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტული - ხარისხიანი განათლება;

- ხარისხიანი განათლების მიღწევის ერთ-ერთი გზა: *<u>მოდერნიზებული პროცედურა ავტორიზაცია-აკრედიტაციის, რაც თავის თავში მოიცავს როგორც პროფესიულ განათლებას, ისე ბაკალავრიატს, მაგისტრატურას და დოქტორანტურას;</u>*

- ისმის კითხვა: რატომ არის საჭირო მოადგილე პროფესიული განათლების მიმართულებით და არა, მაგალითად, დოქტორანტურის, ავტორიზაციის ან აკრედიტაციის მიმართულებით?

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- შესაძლო ვარიანტი: მოადგილის შტატის შენარჩუნება განყოფილებების არსებობის პარალელურად (მისი ფუნქციების არსებითი ცვლილებით);

- დაბრკოლება: უნივერსიტეტის ბიუჯეტი და ფინანსური პრობლემები;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ახალი სტრუქტურის თავდაპირველი ვერსია: სამი განყოფილება (თავდაპირველი ხედვა შეიცვალა კანცლერთან კონსულტაციის შედეგად).

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

სამსახურის ფუნქციები:

- დაემატა: მუხლი 2.2-ის შემდეგი ქვეპუნქტები: ა), ბ), გ), დ), ე), ვ), ზ), თ), ი), კ), ლ), მ), პ), ქ) (სულ: 14 ქვეპუნქტი);
- დაზუსტდა: მუხლი 2.2-ის შემდეგი ქვეპუნქტები: ნ), ო);
- უცვლელად გადმოვიდა: ჟ), რ), ს), ტ), უ), ფ), ღ), ყ), შ), ჩ) (სულ: 10 ქვეპუნქტი).

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- ❖ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის შემოთავაზებული საშტატო განრიგი (მხოლოდ ინფორმაციისთვის):

- ✓ სამსახურის უფროსი;
- ✓ განყოფილების უფროსი - 2 შტატი;
- ✓ მთავარი სპეციალისტი - 5 შტატი;
- ✓ უფროსი სპეციალისტი - 1 შტატი.

- ❖ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ბიუჯეტი - უცვლელი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №4, დანართი №8

N 12134/10 25/07/2017

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ კახაბერ ლორიას

ბატონო კახაბერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილ კორპუსებში არსებული 36 კვადრატული მეტრი ფართის, ვენდინგის (ელ. ვაჭრობის, მათ შორის ყავისა და სხვა ცხელი უალკოჰოლო სასმელების თითოეულ 2 კვ. მეტრის მქონე წერტილზე თითო აპარატის (როგორც ე.წ ვაჭრობის ისე ყავისა და სხვა ცხელი უალკოჰოლო სასმელების აპარატის)) აპარატების განთავსების მიზნით, 5 წლის ვადით იჯარის ფორმით გაცემის საკითხი:

ა) ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1, უნივერსიტეტის პირველი კორპუსში 6 (ექვსი) მ^2 ფართი -ნულოვან სართულზე (ოთხი კვადრატული მეტრი, ცალ-ცალკე ორ-ორი კვ.მეტრი) და მეორე სართულზე (ორი კვადრატული მეტრი); ბ) ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N 3 ,უნივერსიტეტის მეორე კორპუსში 6 (ექვსი)მ^2 ფართი - ორ-ორი კვადრატული მეტრი ნულოვან, პირველ და მეორე სართულზე; გ) ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N36, უნივერსიტეტის მე-5 კორპუსში 4 (ოთხი)მ^2 ფართი - ორ-ორი კვადრატული მეტრი, მეორე და მესამე სართულზე; დ) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N2 ,უნივერსიტეტის მე-10 (მაღლივი) კორპუსში 10მ^2 ფართი-ორ-ორი კვადრატული მეტრი პირველ, მე-5 ,მე-7, მე-9, მე-11 სართულზე; ე) ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N13, უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) კორპუსში 10მ^2 ფართი-ორ-ორი კვადრატული მეტრი კორპუსის მინაშენში, პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სართულზე - სულ ჯამში 36 კვადრატული მეტრი.

გთხოვთ, საკითხი შეიტანოთ წარმომადგენლობითი საბჭოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.

პატივისცემით,

ნუნუ ოვსიანიკოვა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail